**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

24 ივნისი 2026

N 434/ს

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N786/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის N21 ბრძანების, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი შპს „კლიმატი“-ს (N6403; (01.05.2026), შპს „ელანი 2024“-ის (N4602; 30.03.2026), შპს „სი ენ ჯი“-ს (N4599; 30.03.2026) განცხადებებისა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 7 მაისის N306/ს, 2026 წლის 24 აპრილის N262/ს და 2026 წლის 27 აპრილის N268/ს ბრძანებების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N786/ს ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

ა)1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 20 000 კგ;
ბ)R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 11 270 კგ;
გ)R410A (HFC-32/HFC-125) – 10 803.5 კგ;
დ)R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 10 კგ;

ე)R452A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF) – 1 011.2 კგ;
ვ) R513A (HFO -1234yf / HFC-134a) – 1 000 კგ;
ზ)ქლორდიფთორმეთანი (HCFC-22) – 2 300 კგ;
თ) R454B (HFC-32/HFO-1234yf)- 1 000 კგ.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერა“-ს.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერა“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთაკოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/434-21-4-202606241728

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE